საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება
ქ. თბილისი

MES 6 23 0000039941

17/01/2023

შპს საქართველოს უნივერსიტეტის „საერთაშორისო ბიზნეს სამართლის“ ინგლისურენოვან სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებულ არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტისა და კვალიფიკაციის კოდის ცვლილების თაობაზე

1. გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები

1.1. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველიპუნქტის„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ (შემდგომში - აკრედიტაციის დებულების) 27^2 მუხლ ის პირველი პუნქტის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო (შემდგომში - საბჭო) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესწავლისა და ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თაობაზე. აკრედიტაციის დებულების 27^5 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საბჭო ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

1.2. აკრედიტაციის დებულების 31 - ე მუხლის 25 - ე პუნქტის მიხედვით, იმ შემთხვევაში თუ, აკრედიტაციის პირობების შესრულების შემოწმების შედეგად დადგინდება, რომ

დაწესებულების მიერ ყველა რეკომენდაცია შესრულებულია, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას მონიტორინგთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის თაობაზე.

2. აღწერილობითი ნაწილი და დასაბუთება

2.1. შპს საქართველოს უნივერსიტეტის „საერთაშორისო ბიზნეს სამართლის“ ინგლისურენოვან სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას აკრედიტაცია მიენიჭა 2016 წლის 12 ივლისის N38 გადაწყვეტილებით.

2.2 „აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და შპს საქართველოს უნივერსიტეტის "საერთაშორისო ბიზნეს სამართლის" ინგლისურენოვან სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე არაგეგმიური მონიტორინგის განხორციელების შესახებ“ ცენტრის დირექტორის 2022 წლის 07 ოქტომბრის №1256145 ბრძანების საფუძველზე, შეიქმნა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი (შემდგომში ექსპერტთა ჯგუფი). ექსპერტთა ჯგუფის მიერ წარმოდგენილი დასკვნის მიხედვით საგანმანათლებლო პროგრამა შეფასდა შემდეგნაირად:

სტანდარტები	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		√		
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	√			
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა				
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	√			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები				

2.3. საბჭომ შეისწავლა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია.

2.4. ზეპირი მოსმენა გაიმართა **2022 წლის27დეკემბერს.** აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება. შესაბამისად, საბჭომ მიიჩნია, რომ „საერთაშორისო ბიზნეს სამართლის“ ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორს“. აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილია შეწყდეს „საერთაშორისო ბიზნეს სამართლის“ ინგლისურენოვან სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებულ არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოება.

3. სარეზოლუციო ნაწილი

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის 25 -ე პუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლია იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტირუს 2011 წლის 01 ივნისი N233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, აკრედიტაციის საბჭომ, კენჭისყრის შედეგად, 14 ხმით არცერთის წინააღმდეგ,

გადაწყვიტა:

1. შეწყდეს შპს საქართველოს უნივერსიტეტის „საერთაშორისო ბიზნეს სამართლის“ ინგლისურენოვან სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებულ არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება;
2. მიჩნეულ იქნეს, რომ „საერთაშორისო ბიზნეს სამართლის“ ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორს“. საგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცეს უფლება „საერთაშორისო ბიზნეს სამართლის“ ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა განახორციელოს დანართი №1-ით განსაზღვრული მონაცემების მიხედვით, რომელიც არის ამ გადაწყვეტილების განუყოფელი ნაწილი (დანართი №2).
3. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2023 წლის 17 იანვრის №39745 სხდომის ოქმის №05 ნაწილი ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად. (დანართი№3).
4. საბჭოს გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2023 წლის 17 იანვარს.

5. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციულიკოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24^1 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის II შესახვევი №2, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64, აღნიშნული გადაწყვეტილებისა და მისი დასაბუთებითი ნაწილების (დანართი №1, დანართი №2, დანართი №3) ცენტრის ვებ-გვერდზე (www.eqe.ge) გამოქვეყნების დღიდან, ერთი თვის ვადაში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბუჩაშვილი გოდერძი

საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ტეფნაძე დავით



დანართი №1

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	საერთაშორისო ბიზნეს სამართალი
2	საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	საერთაშორისო ბიზნეს სამართალი
3	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
4	სტატუსი	აკრედიტებული
5	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2016 წლის 12 ივლისის N38 გადაწყვეტილება
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე -7
9	კვალიფიკაციის დასახელება	სამართლის მაგისტრი
10	კვალიფიკაციის კოდი და დასახელება 120/ნ მიხედვით	06, სამართლის მაგისტრი
11	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
12	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0421 - სამართალი
13	სწავლების ენა	ინგლისური
14	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
15	განხორციელების ადგილი	საქართველო, 0171, ქ. თბილისი, მ.კოსტავას ქუჩა N77 ა
16	ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	2023 წლის 17 იანვარი